


1956 / 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ს. რ. ნ. ე. კ. ი

№ 4
 აპრილი
 1956



3. ი. ლენინი

ნახატი პ. ვასილევსა



პ ი თ ე რ ი

№ 4

აპრილი, 1956 წ.

წელიწადი XXX

საბჭოთავლოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო მუხრალი



ვლადიმერ მაიკოვსკი

ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ა

ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას-მე ლენინი“

ჩვენი პარტია
ერთიანი
ურავანია,
მტკიცედ შეკრული,
თავის რიგებს
კვლავ რომ ამაგრებს;
ის ისე ზღლეჯს და
ანადგურებს
მტრის სიმაგრეებს
როგორც ქვემესთა
ურავანი
ყურის ბარაბნებს.

ეული კაცი
ქვეყნად არის
ყელგამოჭრილი,
მარტონელოზა
ჭამაშიაც
შესაბრალოა,
ყველა ძლიერი
მარტონელას
დამოორჩილებს,
სუსტებიც სძლევენ,
თუ სუსტები
ერთად არიან.

მაგრამ თუ მტკიცედ
შეკავშირდნენ
ერთეულები,
მოჰკვიდ მტარვალს
წყეულ იყოს
შენი გაჩენა!
პარტია არის
მტკიცე მკლავი
მილიონების,

მუშტად შეკრული,
დამღწევი
მკლავი მარჯვენა.

მუშათა კლასის ხერხემალი
არის პარტია,
ის ჩვენი საქმის
წიმიად სწამს
ასიათასებს.
არ მიღალატებს,
არც არასდროს
უღალატნია!
სამეფოების
ბელს განვავებ
ქვეყნის ქარტაზე!..

კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა —
აი, პარტია.

ტყუბნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორიგ იგი

ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ



მოთხოვნები ლენინზე

სმოლნის სასახლეში

ციმბირის შორეული სოფლიდან პეტროგრადში ერთი მოხუცი გლეხი მიდიოდა. გზაში ყველას ეუბნებოდა, ლენინთან მივდივარ, გლეხების ცხოვრებაზე უნდა მოველაპარაკო.

კარგა ჩანს მოუხნა ბერიკაცი გზას. როგორც იქნა მიადრწა პეტროგრადს.

ხელავს, რას ხელავს, ქუჩებში უაშხანებით შეიარაღებული მუშები დგანან. ჯარისკაცების პოლკმა მუსიკით ჩაუარა; პოლკის წინ ვეებერთელა წითელ დროშას მიაფრიალებდნენ.

ბერიკაცი ერთ წითელგვარდიელთან მივიდა და ჰკითხა:

— რაშაა საქმე, როგორ გავიგოთ ეს ამბავი?

— როგორ და... ჩვენში ახლა საბჭოთა ხელისუფლებაა, — მიუგო წითელგვარდიელმა.

გაპყვა ბერიკაცი ქუჩას და თან ყველას ეკითხება, სად შეიძლება ლენინი ვნახო.

— სმოლნში. — ეუბნებიან ბერიკაცს.

დიდხანს იარა, მთელი ქალაქი გაიარა და ერთ უზარმაზარ შენობას მიაღვა.

შენობის წინ კოლონები ენთო, ტყვიანზფრქვევები იდგა. ტყვიანზფრქვევებთან კი მეზღვაურები და ჯარისკაცები მიმოდიოდნენ.

სწორედ ეს იყო სმოლნის სასახლე. მოხუცს თვალში მოუვიდა ერთი ყმაწვილი მეზღვაური, რომელიც ქვაფენილზე ფეხებს აბაკუნებდა და ხელს ხელზე ირტყამდა — თბებოდა: ზღვიდან მღიერი ქარი ჰქროდა და ციოდა.

— ლენინის ნახვა მინდა, — უთხრა მეზღვაურს ბერიკაცმა.

მეზღვაურმა აათვალღიერ-ჩაათვალღიერა და ჰკითხა:

— რა საქმე გაქვს ლენინთან?

— მოვედი, ჩემს ცხოვრებაზე ვუამბო.

— წადი, მოხუცო, კომენდანტთან, საშვებს მოგცემს, — უთხრა მეზღვაურმა და აჩვენა, საით წასულიყო.

კიბეზე კომენდანტთან როგი იდგა. განიერ საფეხურებზე ფეხი ცურდებოდა, ისე იყო გატალახიანებული. ეტყობოდა იმ დღეს ბევრს გაეგლო ამ კიბეზე. კომენდანტი საშვებს ნოლა, აუჩქარებლად წერდა: ეტყობა, შაშხანის ხელში დაქვარა უფრო ემარჯვებოდა, რადგან კალამი ხუთივე თითით ჩაებლუჯა და მოუხერხებლად, ფრთხილად ექირა.



8. ი. ლენინის ძეგლი თბილისში

ბერიაცმა საშვები მიიღო და ლენინის მოსაძებნად გაემართა.

სმოლნის სასახლის პირველ სართულზე მუშებსა და მეზღვაურებს იარაღს ურიგებდნენ. ისინი სათითაოდ მიდიოდნენ მაღალ, მხიარულ ჯარისკაცთან, შაშხანასა და ვაზნებს იღებდნენ, ხელს აწერდნენ, მერე გარეთ რაზმებდ ეწყობოდნენ და მიდიოდნენ. საღლაც შორს ზარბაზნების გრილი ისმოდა: პეტროგრადის მისასვლელებთან ბრძოლები იყო.

ბერიაცმა იმ მაღალ ჯარისკაცსაც ჰკითხა, ლენინი სად არისო. ჯარისკაცმა გაუღიმა და უპასუხა:

— ოცდამეთექვსმეტე ოთახში.

ოცდამეთექვსმეტე ოთახის კართან ორი წითელგვარდიელი გუშაგი იდგა: ერთი უღვაშიანი მოხუცი მუშა იყო, შავი პალტო ეცვა, მეორე კი — მოკლე ჯუბაში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი.

— ლენინის ნახვა მინდოდა, — უთხრა იმათაც ბერიაცმა.

უღვაშიანმა მუშამ ბერიაცს შეხედა და თქვა:

— სულ პირდაპირ ვაპყვევი დერეფანს. ლენინი დიდ დარბაზში სიტყვით გამოვა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია ბერიაცმა, რომ დერეფანში ყველა ერთ მხარეს მიემართებოდა. ისიც იქით წავიდა და დერეფნის ბოლოში თეთრი, ფართოდ გახსნილი კარები დაინახა. კარებში ხალხი შეჯგუფდულიყო.

ბერიაცი ხალხს შეუერთდა. მაგრამ შეაღწია თუ არა დარბაზში, იმ წამსვე საშინელი ხმაური ატყდა. ერთბაშად ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. მიხედ-მოიხედა; ყველა ყვიროდა, ტანს უკრავდა, ქედს იქნევდა. ამ მღრიულად მორთულ დარბაზში ხალხი მტეწილად უბრალოდ იყო ჩაცმული: ზოგს ფარაჯა ეცვა, ზოგს მოკლე ჯუბა, ზოგსაც ბუმულატი.

— ლენინი! ლენინი! ლენინი! — ყვიროდნენ ისინი.

ბერიაცი ფეხისწვერებზე შედგა და დარბაზის მეორე ბოლოში ლენინი დაინახა.

ვლადიმერ ილიას-მე ოდნავ ამღლებულ აღვილზე იდგა და ელოდა, როდის შეწყდებოდა ხმაური. მერე ხელი ასწია, — სიჩუმე მოითხოვა.

მაგრამ დარბაზი ისევ ხმაურობდა და არა ცხრებოდა.

— ლენინი!.. გაუპარჯოს ლენინს!

ლენინმა წარბი შეიკრა. მაგრამ ფეღარ მოითმინა და გაიღიმა. ხმაური უფრო გაძლიერდა.

ლენინმა ხელები გაშალა. ცოტა ხანს კიდევ დაცადა და მარჯვენა ხელი ისევ ასწია. მერე, ეტ-



გღმებამი ლენინთან

პურ. ვ. სეროვისა

ყომა, გადაწყვიტა ხმაურისათვის ყურადღება აღ- არ მიექცია, წინ გადმოიხარა და ლაპარაკი დაიწყო. დარბაზშიც მყისვე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამახანაგებო! — თქვა ლენინმა. — მუშური და გლეხური რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზე მუდამ მიუთითებდნენ ბოლშევიკები, მოხდა...

ლენინი ლაპარაკობდა ახალ ცხოვრებაზე, საბ- კოთა ხელისუფლებაზე, იმაზე, რომ ომი უნდა დამთავრებული იქნას, რომ მემამულეებს მიწა ჩამოერთმევა და გლეხებს გადაეცემა.

ბერიაცი უსმენდა ვლადიმერ ილიას-მეს და მი- სი ყოველი სიტყვა გააანგებოდა იყო.

ლენინმა ლაპარაკი დაამთავრა. ბერიაცს თავისი სოფელი მიაგონდა: იქ უნდა უამბოს ხალხს ლენინის სიტყვები. მერე წამოვიდა დერეფანში იმ განიერი კიბის საძებნად, რომელიც ქუჩაში გადი- ოდა.

ვიღაცამ დაუძახა. ეს ახალგაზრდა მეზღვაური იყო, ან ცოტა ხნის წინათ სმოლნის სასახლესთან რომ იდგა.

— აბა, ძიაკაცო, ელაპარაკე ლენინს შენს ცხოვ- რებაზე? — ჰკითხა სიცილით.

— არა, — მიუგო ბერიაცმა, — ლენინი თვი- თონ მელაპარაკა ჩემს ცხოვრებაზე.

შ ა ბ ა თ ო ბ ა

ვისაც 1919-1920 წლებში ჩვენი რკინიგზებით უმოგზაურია, მას უნახავს „ორთქლმავლების სასაფლაო“. ასე ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც დამტკრეულ ორთქლმავლებს ყრიდნენ. სამოქალაქო ომის დროს ისინი ყუმბარებით დაზიანდნენ და ახლა თავდაყირა უმყოფოდ იყარნენ.

მძიმე წლები იყო. ყველგან ომის ნაკვალევი ჩანდა: მდინარეებზე — აფეთქებული ხიდები, ქალაქებში — გადამწვარი სახლები, რკინიგზებზე — დამსხვრეული ორთქლმავლები.

საბჭოთა ქვეყანას თავისი მეურნეობის ხელახალი აღდგენა უხდებოდა.

აი, მაშინ დაიწყო დიდი საქმე: საბჭოთა ხალხი თავს იყრიდა უქმე დღეებში, ანდა მუშაობისაგან თავისუფალ საათებში, რომ უნაგარო შრომით დახმარებოდა თავის ქვეყანას.

ეს საქმე წამოიწყო ყაზანის რკინიგზის მუშებმა 1919 წლის 10 მაისს.

ისინი ნებაყოფლობით, თავიანთი სურვილით შეუდგნენ „ორთქლმავლების სასაფლაოს“ გაწმენდას. ეძებდნენ ვადარჩენილ ნაწილებს, ცლიდნენ შეშით და ნახშირით დატვირთულ მატარებლებს.

თავდაპირველად ასეთი ნებაყოფლობითი სამუშაოები სრულდებოდა შაბათობით, ამიტომ იყო, რომ იმ დღეებს, როცა საბჭოთა ადამიანები ამ სამუშაოებზე იკრიბებოდნენ, ეწოდებოდა შაბათობები.

ყაზანის რკინიგზელთა მაგალითით სხვა ქარხნებმაც დაიწყეს შაბათობების მოწყობა.

ხოლო 1920 წლის პირველი მაისი ფაქტობრივად იქნა მთელი რუსეთის შაბათობის დღე. ამ სადღესასწაულო დღეს მუშაობდნენ ყველგან, დაწყებული კრემლიდან და გათავებული სადღაც შორეული ციმბირის მუშათა დაბით. მაგრამ სამუშაოზე ხალხი ისე მიდიოდა, როგორც ზეიმზე.

ამ დღეს, დილის რვა საათზე, კრემლში სამეჯერ ზეიანზე დაიქუხა ზარბაზანმა. მუშები, მოსამსახურეები და კრემლის სახენძარო სკოლის კურსანტები მოედანზე გავიდნენ. როდესაც ყველა რიგში დაეწყო, რათა სამხედრო მწყობრით წასულიყვნენ სამუშაოზე, კრემლის კომენდანტმა თქვა: ამხანაგი ლენინი მოდის შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვლადიმერ ილიას-ქემ ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა მწყობრს.

სამხედრო სკოლის კომისარმა თხოვა მას, — როგორც უფროსი, მწყობრის თავში მარჯვენე ჩამდგარიყო. ლენინი მაშინვე ჩაღა იქ, სადაც მას მიუთითეს. გაისმა ბრძანება:

— მწყობრებო, მოეწყვეთ!

და შემდეგ:

— მარჯვისაკენ, ნაბიჯით იარ!

მუსიკის ხმაზე, ფეხაწყობით, სამხედრო ნაბიჯით გაემართნენ კრემლის იმ ადგილისაკენ, სადაც იყარა მორები, ქეები, ფიცრები, ნავავი. იქვე იყარა დამტკრეული ოთხთვალები; მიწაზე მოჩანდა ყუმბარებისაგან დათხრილი ორმოები. ყოველივე ეს დარჩენილიყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს თეთრგვარიდილებთან ბრძოლის შედეგად.

საჭირო იყო ერთი დღის განმავლობაში კრემლის მთელი მოედნის გაწმენდა და წესრიგში მოყვანა.



3. ი. ლენინი შაბათობაზე

სურ. მ. სოკოლოვისა



3. ი. ლენინი რუსეთის სოციალისტური რევოლუციის დროს

სურ. 3. ბახოვისა

ჯერ მორებიდან დაიწყეს, თითოეული მორის წაღება უხდებოდა ორ კაცს, ზოგჯერ კი ოთხსაც, თუკი მორი ძლიერ დიდი იყო. ლენინი მუშაობდა ერთ სამხელო პირთან ერთად. ის სულ ცდილობდა ლენინისათვის მსუბუქი ბოლო მიემარჯვებინა, თვითონ კი მორის მძიმე ბოლოს ეწეოდა, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძემ ეს გაშიინვე შეაპჩინა და პირველი დასწვდებოდა ხოლმე მორს.

მაშინ საბუნდრომ უთხრა:

— მე ოცდარვა წლისა ვარ, თქვენ კი ორმოცდაათისა.

ლენინმა გაიღო მხარზე მძიმე ბოლო და ჩივინა:

— მამ ნურც მეკამათებით, თუკი უფროსი ვარ. გადაზიდეს მოედნიდან მთელი მორები და ახლა ხელი მიპყვეს უზარმაზარ კუნძებს, — ჯოხებზე დებდნენ და ექვს-ექვს კაცს მიჰქონდა. ილია სამუშაო არ იყო, გამოცდილი მუშებსაც კი სახეზე იფლი წურწურით ჩამოხდიოდათ.

ახლა ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად საბიკურსანტი და ორი მუშა მუშაობდა.

ერთმა მუშამ უყურა, უყურა ლენინს და ბოლოს თქვა:

— ვლადიმერ ილიას-ძევ! ამ საქმეს უთქვენოდაც მოვერევი, თქვენ უფრო დიდი საქმეები გაქვთ.

ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა:

— ახლა ეს საქმეა ყველაზე დიდი.

კაშკაშა მზისა და იმის გამო, რომ გვერდით ვლადიმერ ილიას-ძე მუშაობდა, ყველა გრძნობდა: ეს დღევანდელი მუშაობა — მხიარული დღესასწაული იყო.


თითოეულს უნდოდა მუშაობაში თავის გამოჩენა.

ნა. ბოლოს დაილაღნენ და დასასვენებლად და თამბაქოს მისაწეველ ჩამოსხდნენ.

ვლადიმერ ილიას-ძე თამბაქოს არ ეწეოდა და თითქოს დასვენებასაც არ აპირებდა. ხან საათს დახედავდა, ხან დარჩენილ მუშის კუნძებს და ქვეზის გროვებს. ბოლოს მაინც მიუჯდა ამხანაგებს. ვილამ პაპიროსი შესთავაზა. ლენინმა უარი თქვა და უამბო, რომ მან თამბაქოს წევა გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო, მაგრამ მალე მიაწება თავი და მას შემდეგ აღარ ეწევა. ყველას უხაროდა ვლადიმერ ილიას-ძესთან დიდხანს საუბარი, მაგრამ მან ისევე ამოიღო საათი; როგორც ჩანდა, სადაც მიეჩქარებოდა.

დასვენების შემდეგ შეუდგნენ ქვების გროვისა და ნაგვის ორხელათი გადაზიდვას.

ლენინი ჩქარობდა, ცდილობდა კიდე უფრო სწრაფად ემუშავა, მაგრამ შაბათობის დამთავრე-



3. ი. ლენინი კომსაგვორის მისამე ყრილობის დროს

სურ. 3. ბელოუსოვისა

ბამე რამდენიმე წუთით ადრე მინც მოუხდა წასვლა — იმ დღეს საძირკველს უყრიდნენ კარლ მარქსის ძეგლს და ლენინს ელოდნენ. სამუშაოც ცოტა დაარჩათ მოედანზე, ისიც სწრაფად მოათავეს და დალილგები, თან

ძლიერ კმაყოფილები დაიშალნენ. ყველაზე უფროდ, რომ ამ დღეს მათ კეშმარუტის ქვეყანაში გააკეთეს: შემდეგ შაბათობაზე უფრო მეტი ხალხი გამოვა: აღსადგებიან ახალი ნილიონები ყველგან, თვალწინდენ საბჭოთა ქვეყანაში.

თარგმანი **მამყალა მინფლიზილია**

„უ — 127“

მოსკოვში პაველცკის სადგურზე არჩვეულებრივი ორთქლმავალი დგას. როგორც წესია, მასაც აქვს თავისი ნომერი: „უ — 127“.

თუმცა ამ ორთქლმავალს უნომროდაც ვიცნობთ. ის მთლიანად წითელია, მხოლოდ საყვირი აქვს შავად შეღებილი და ბორბლებზეც თეთრი ზოლები უჩანს. ხოლო „უ — 127“ ოქროსფერად აწერია. ორთქლმავლის წითლად მოვლვარე გვერდებს ყოველდღე აცლიან მტერებს. ზემოთან კი უშმის სახურავი გადაადარეს: ახლა „უ — 127“-ს წვიმის ერთი წვეთიც აღარ დაეცემა.

ეს ორთქლმავალი მრავალი წლის წინათ შაბათობაზე ააგეს.

შაბათობა განა ერთი და ორი დღე გრძელდებოდა! ბევრჯერ შეიკრიბნენ გამოსასვლელ დღეებში რკინიგზელები და პირველი მაძისათვის ორთქლმავალი „უ — 127“ კიდევ გაამზადეს.

შესანიშნავი ორთქლმავალი გამოვიდა: ის ხომ საუკეთესო მძებლებმა და ზეინკლებმა ააგეს და საუკეთესო მღებავებმაც შედგეს.

ამის შემდეგ რკინიგზელებმა დაადგინეს: „უ-127“ საჩუქრად მიეძღვნათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ხოლო ვლადიმერ ილის-ძე საპატიო მემანქანედ აერჩიათ. გადაწყვიტეს ლენინთან სამი კაცი გაეგზავნათ და ეს ამბავი ეცნობებიათ.

ლენინმა რკინიგზელები მიიღო, მოუსმინა და გაიღიმა:

— მე ხომ ერთხელ ცეცხლფარეში ვიყავი ორთქლმავალზე, ახლა გამოდის, რომ დამაწინაურეს...

რკინიგზელებს გაეცინათ. ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთხელ, ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში, ლენინი თავის მტერებს ორთქლმავალზე დაემალა და

თავი ისე მოაჩვენა, ვითომც ცეცხლფარეში იყო, იყო.

მერე ლენინმა ფამოქვითა მუშებს, როგორ მილიდა საქმე რკინიგზაზე.

მათი შაბათობის შესახებ კი ადრევე სპენოდა. მას მუდამ აინტერესებდა შაბათობების ამბავი და დიდ საქმედაც მიიჩნდა იგი. გამოთხოვებისას თავის სტუმრებს თხოვა:

— ამხანაგ რკინიგზელებს ჩემგან მიღლობა გადაეცით.

* * *

მას შემდეგ ორთქლმავალმა „უ-127“-მა ცოტა გზა როდი გაიარა. მიჰყავდა მგზავრები, მოჰქონდა ტვირთი. უფრო ხშირად კი ქვანახშირით სავსე ვაგონებს მოაქროლებდა მოსკოვის ქარხნებისათვის.

უკანასკნელად ის 1924 წლის 23 იანვარს გავიდა გზაზე. ეს იყო მძიმე სახალხო გლოვის დღე: 21 იანვარს გორკაში გარდაიცვალა ამხანავი ლენინი. სამგლოვიარო დროშებით მორთულმა „უ — 127“-

მა თავისი საპატიო მემანქანის ცხედარი მოსკოვისაკენ წამოასვენა.

ყველა ქვეყნის მშრომელები ეთხოვებოდნენ თავიანთ მასწავლებლს, ბელადს და მეგობარს. მთელს მსოფლიოში ხუთი წუთით მუშაობა შეწყვიტა ქარხნებმა და ფაბრიკებმა, შეჩერდა მოძრაობა.

ორთქლმავალი „უ-127“ კი სამუდამოდ გაჩერდა. ახლა ჩვენი მუშები მას ძალიან უფრთხილდებიან, უფრთხილდებიან, რადგან იგი დიდი ლენინის სახელობაა დაკავშირებული.

თარგმანი

ბ. მამყალაქიძე



ბ. ი. ლენინი ორთქლმავალზე სურ. ა. ლოპუხოვისა

ჩვენს მოქმედ აზერბაიჯანში

[ძარბაზის საკავშირე მფარველთა აზერბაიჯანულ ენაზე]



ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობა უძველესი დროიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ XII საუკუნეში ქართველებსა და აზერბაიჯანელების წინაპრები ერთად ებრძოდნენ შემოსეულ მტრებს და ჭირსა და ღვინს ერთად იზიარებდნენ. მოძვე ერების მეგობრული ურთიერთობა უფრო ნათლად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამოვლინდა.

საბჭოთა აზერბაიჯანი ერთ-ერთი კულტურული და მიწინავე რესპუბლიკაა.

ქართველი მეცნიერები დიდი სიყვარულით კითხულობს ჩვენს მოძვე აზერბაიჯანის მწერალთა ნაწარმოებებს.

იქაც, აზერბაიჯანში, დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენს ქართველ მწერლებს. გამოცემილია „აზერბაიჯანში“ ახალხანს აზერბაიჯანულ ენაზე გამოსცა ქართველი საბავშვო მწერლების ნაწარმოებები, რომელთაც აზერბაიჯანულ ახალგაზრდობაში დიდი გამოხმაურება მოუტოვა. ხოლო გამოცემილია „საბლიტვაში“ 1956 წლის მეორე ნახევრისათვის გამოსაცემად ამზადებს აზერბაიჯანის საბავშვო მწერლების ნაწარმოებთა კრებულს. ეს ქართველი ბავშვებისათვის საუკეთესო საჩუქარი იქნება.

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს საერთო სურვილები და მისწრაფებები აქვთ. მათთვის საერთოა უკეთესი მომავლისა და კომუნისმის დიდი საქმისათვის ბრძოლის სურსისკვეთება. ქართველმა და აზერბაიჯანელმა ხალხმა ერთად იზიარებს სა-ქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების 35 წლისთავი. ამ თარიღს მიუძღვნა თავისი მეორე დიდი ნაწილი აზერბაიჯანელმა ყურნალმა „პიონერმა“.

ამ ყურნალში დაბეჭდილია ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები. აქ არის გი-



ორკე შატერაშვილის მოთხრობა „ჩხირკედლა“. ჩხირკედლა ვანო პაპამ დაარქვა დათის. დათო მართლაც მოუსყიდა ბიჭი იყო. გავყვითლებს დაამზადებდა თუ არა, სულ ერთთავად რაღაცას ჩაჰკვირებდა. ერთხელ სოფლის ტრაქტორის ასამუშავებლად თავისი ჩხირკედლობით გავყვითებული პატარა მანქანა გასწირა და ხრახნი საზოგადო საქმის კეთილდღეობისათვის გაიშტა. ამ ამბავმა ყველაზე მეტად თვითონ დათო გახანა. „უფრო ერთ კარგ საქმე გავყვითე ტრაქტორი ავამუშავე“, — ამაყობდა გულში ბიჭი.

ამ მოთხრობას ირაკლი აბაშიძის ლექსი მისდევს — „რატომ მიყვარს თებერვალი“. თებერვალი ცივი ზამთრის დასასრულია, დედამიწა ყინვისაგან თავისუფლდება, ხეში წყალი დგება, მზეს სიბოი ემატება და რაც მთავარია:

„რომ ღვინი დგას მთა ბარში, ყველგან მზეა, ყველგან თბილა, რომ ჩვენს მამულს თებერვალში გაუთინდა შვების დილა.“

აქვე მოთავსებულია თეიმურაზ სხაბრთის წერილი „შრომის გავყვითლზე“. თბილისის სკოლებში პოლიტექნიკური მეცადინეობა ხალისიანად დაიწყო. მოსწავლეები მექანიკური ქრახნის მოწინავე მუშებს

და გამოცდილი ოსტატებს იწვევენ, მათგან რჩევა-ღირებულებებს ლეტულობენ და ამ ფრიად საპატიო სწავლებას მთელი გულისყურით ეცილებიან.

წერილს მისდევს გიორგი კაჭანიძის ლექსი „თებერვალი“. ლექსში მიმზიდველად დახატული გაზაფხულის სურათი. ავტორი ამბობს, რომ ბედნიერი საქართველო სწორედ ამ თვეში დაიბადა.

გრიგოლ აბაშიძის პოემა „მეგობრობა“, რომელიც ამავე ნომერშია დაბეჭდილი, რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობის აგვისახავს. რუსი პოეტები ავიაციის პარასის დაესწრნენ მოსკოვში, ტუმინოს აეროდრომზე. პარასის შემდეგ ბავშვები ოცნებებ იქცნენ, ყველა მათგანს მფრინავი სურდა გამხდარიყო, რათა დაესწრა მალაიო ღრუბლები და ხმა ნიეწდინა მიუვალ სოფლებისათვის. პოეტებმა კავკასიონის კალთებზე შეფენილი სვანეთი გაასენდათ და ვადაწყვიტეს სვანი ბავშვებისათვის წერილი მიეწერათ. მოსკოველი ბავშვების ბარათთან ერთად სვანმა პოეტებმა ამანათიც მიიღეს, რომელშიც თვითმფრინავის მოდელი იყო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სიმორის მიუნედავად, ასე დაამბობლა მოსკოველი და სვანი პოეტებები საერთო სურვილმა.

ყურნალში მოთავსებული სხვა მასალებში მალაიო მხატვრულთა და ოსტატობით არის ასახული ხალხთა ძირობისა და მეგობრობის თემა. შორეულ წარსულში ფესვადგმული ეს მეგობრობა უძლეველ ძალად იქცა. კომუნისტურ პარტიის მეგობრობისა და მშვიდობის გზით მიყვარათ წინ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხი მეგობრობის ტრადიციებს კვლავაც გააგრძელებს.

ლილია პრაპა



დიად საეუზოთა გეგმა

მესუთე ხუთწლელი დიად გამარჯვებათა პერიოდი იყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის. ამ დროის განმავლობაში მწყობრში ჩადგა საქართველოს რესპუბლიკის სიამაყე — სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც ფილადსა და თუჯთან ერთად უკვე უშვებს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ქიმიურ სასუქს. მალე რუსთავში დაიწყება ცემენტის დამზადებაც ჩვენი მეურნეობისათვის. რუსთავი უკვე არა მარტო მეტალურგიის, არამედ ქიმიური მრეწველობის უდიდესი ცენტრი გახდა მთელს ამიერკავკასიაში.



თბილისში დამზადებული ახალი ტიპის ლითონსაქრელი დაზგები იგზავნება არა მარტო საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ქართული დაზგები, სამთო-საშახტე მოწყობილობა, მანქანები ჩაის და ღვინის მრეწველობისათვის, ზუსტი ხელსაწყოები და ფეროშენადნობი უკვე დიდი როლდენობით იგზავნება არა მარტო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, არამედ ბირმასა და ინდოეთში, ავღანეთსა და პაკისტანში, იემენსა და ეგვიპტეში.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ აითვისა ახალი ტიპის მანქანების გამოშვება, როგორცაა თვითმცლელი, ცემენტსაზილი, ბამბასაზილი და სხვ. ამავე პერიოდში დამთავრდა გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. მწყობრში ჩადგა შაირის ჰიდროელექტროსადგური, რუსთავის თბელექტროსადგური და აზოტ-ტუქის ქარხანა.



მარტო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა 90 ფაბრიკა-ქარხანა. საქართველო გადაიქცა მაღალანვითარებული ინდუსტრიის რესპუბლიკად, მძლავრი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსხვილი ელექტროსადგურების, მრავალდარგოანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ ქვეყანად.

მშრომელთა კულტურულ-მატერიალური დონის განუზრგელი ზრდა ახალ მოთხოვნებს აყენებს სახალხო მეურნეობის წინაშე, განსაკუთრებით ენერგეტიკის წინაშე, ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მეექვსე ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ელექტროსადგურების მშენებლობასა და ქვეყნის ელექტროფიკაციას.

სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ბერკეტი ენერგეტიკული ბაზა არის, ამიტომ მეექვსე ხუთწლეულში საქართველოში მრავალი ახალი ელექტროსადგური აშენდება.

როგორც ცნობილია, ჰიდროენერგორესურსების მარავით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელს მსოფლიოში. ჩვენი მთავარი მდინარეების საშუალო-წლიური თეორიული სიმძლავრე 12 მილიონ კილოვატს უდრის, რასაც შეუძლია ყოველწლიურად მოგვეცეს 108 მილიარდი კილოვატ-საათი ენერგია.

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, „თეთრი ნახშირის“ ეს უმდიდრესი მარაგი თითქმის გამოუყენებელი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე ცხრაათს კილოვატს არ აღემატებოდა.

ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში ვ. ი. ლენინი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღისტინისა და მთიულთა კომუნისტებს სწერდა, — მთელი ძალღონით განვივითარებინათ ქვეყნის საწარმოო ძალები, დევეყნით დიდი მუშათა ელექტროფიკაციის და მორწყვის დარგში.

ხუთწლეულების პერიოდში საქართველოში აშენდა მრავალი ელექტროსადგური — საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო ზაპსი, აგრეთვე რიონის, აბჰესი, ჩითაბეგისი, ხრაშქესი, აჭარისწყლისპეისი, შორაპესი, ალაზან-პესი, ასობით სასოფლო და საკოლმეურნეო ელექტროსადგური.

ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 1,8-ჯერ. უკვე 1956 წელს მწყობარში ჩადგება გუმბათ-პეს I ერთი აგრეგატი და გუმბათ-პეს II სამი აგრეგატი. დამთავრდება ტყიბულისა და ბუჟუყის ელექტროსადგურების მშენებლობა.

ხუთწლეულის განმავლობაში მთლიანად დამთავრდება და სამრეწველო დენს მოგვცეს ხრაშქესი II, გუმბათ-პესი I და II, შორაპესი II, ჩატარდება რუსთავისა და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურების გაფართოება.

დიდი საბუჟუყის სწარმოებს ლაჯანურპისის მშენებლობაზე. აქ მთაში გაპყვეთ დიდი ვიზრიაბი, რომლითაც მიმდინარე წელს მდინარე ლაჯანური და ცხენისწყალი ნაწილობრივ გადასარბოლი იქნება მდინარე რიონში. ამის შედეგად რიონი უფრო უხვწყლიანი გახდება და უზრუნველყოფილი იქნება ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობა. მიმდინარე ხუთწლეულში რიონზე უკვე დაიწყება ერთი ელექტროსადგურის მშენებლობა და დამთავრდება მეორე ელექტროსადგურის დაბრუნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რიონპეს II წლიური გამომუშავება იმდენი იქნება, რამდენსაც აშკა-მად გეაძლეეს საქართველოს ყველა ელექტროსადგური, ხოლო რიონპეს III გამოიმუშავებს ერთნახევარჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რესპუბლიკაში დღეისათვის არსებული ყველა ელექტროსადგური.


საქართველოში ელექტროსადგურთა მშენებლობაში განსაკუთრებულ ადგილს დიკავებს დარიალპესის მშენებლობა მდინარე თერგზე.


დარიალპესის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ენერგეტიკული სისტემის გაძლიერებისათვის. იგი საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მიჯნაზე აშენდება და ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემას ჩრდილო კავკასიისთან გაერთიანებს.

დარიალპესის სიმძლავრეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ყოველწლიურად გაცილებით მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე ახლა გეაძლეეს საქართველოში არსებული ყველა ელექტროსადგური.

გარდა ჩამოთვლილი მსხვილი ელექტროსადგურებისა, საქართველოში აშენდება ათობით სასოფლო და საკოლმეურნეო ელექტროსადგური. ხუთწლიის განმავლობაში დამატებით ელექტროფიკირებული იქნება 85 კოლმეურნეობა და 5 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

საქართველოს ელექტროფიკაციის უმნიშვნელოვანეს მომენტად უნდა ჩაითვალოს მისი ენერგოსისტემის გაერთიანება აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემებთან ერთ რეკალში.





მეექვსე ხუთწლედის ყველაზე საინტერესო მშენებლობა არის გაყვანა გროზნოდან თბილისამდე.

როგორც ცნობილია, გაზი მჭიდროდ დამკვიდრდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. დღისათვის თითქმის მილიანად გაზიფიცირებულია საბჭოთა კავშირის ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, როგორცაა: მოსკოვი, ლუნინგრადი, კიევი, ბაქო, სარატოვი, კუბიშევი, ბუგურუსლანი, სტავროპოლი, გროზნი და სხვ.

თუ რამდენად ხელსაყრელია გაზის გამოყენება სხვა სახის სათბობთან შედარებით, შემიძვი მონაცემებიდან ჩანს: ერთი ლიტრა წყლის ასადღებულად საჭიროა დაიხარჯოს 10—11 კაპიის შეშა ან 5—6 კაპიის ნავთი, ხოლო იმავე ერთი ლიტრა წყლის ასადღებულად საჭიროა 0,9 კაპიის ბუნებრივი გაზი. რაც მთავარია, გაზიფიკაცია დაზოგავს ხე-ტყეს, ქვანახშირს, ნავთობს, ელექტროენერგიას; განტვირთავს ტრანსპორტს, მოსაპობს ჭვარტლსა და უსუფთაობას.

ჩვენი მზარდი დედაქალაქი სულ უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს საწვავ-სათბობსა და ელექტროენერგიას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ამასთანავე, თბილისის სათბობით მომარაგება ჯერ კიდევ ძველი წესით ხდება. შემოვჭექვს ნავთობი, მასზეთი, შეშა, ქვანახშირი, რაც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის და მეურნეობების მოთხოვნილებას.

საქართველოში არ გვაქვს სამრეწველო მნიშვნელობის ბუნებრივი გაზის საბადოები, ამიტომ თბილისი გაზს მიიღებს სტავროპოლის მხარეიდან. უკვე დადგენილია გაზსადენის ტრასა: სტავროპოლი — ნეენიომისკი — მინერალური წყლები — გროზნი — ორჯონიკიძე — დარიალის ხეობა — თბილისი, საერთო სიგრძით 305 კილომეტრი.

გაზსადენის გაყვანით გაზიფიცირებული იქნება თბილისის კომუნალური საწარმოები, საცხოვრებელი ბინები, საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებულებები და სხვ. ამით ყოველწლიურად მნიშვნელოვნად დაზოგვლი იქნება რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ღირებულების საწვავ-სათბობი და დიდძალი ელექტროენერგია.

გროზნი — თბილისის გაზსადენის მშენებლობა უდიდესი მოცულობა არის ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.



საქართველოში ბუნებრივი გაზის არსებობა დაკავშირებულია ნავთობის საბადოებთან. ბუნებრივი გაზით განსაკუთრებით მდიდარია თბილისის მახლობლად მდებარე ნავთობის საბადოები (ნორიო, მარტყოფი). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გავაჩინა სამრეწველო მნიშვნელობის გაზის საბადოები, მისი გამოყენება მაინც გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში.

საქართველოში ნავთობის მოპოების დროს ყოველწლიურად იკარგება დაახლოებით 12 მილიონი კუბმეტრი გაზი. მეექვსე ხუთწლედში საქართველოში გაიზარდება ბუნებრივი გაზის მოპოება და დაიწყება მისი გამოყენება სოფლის მეურნეობაში — სათბურებისათვის, კირის გამოსაწვავად, მუშათა დაბებისა და სოფლების გაზიფიკაციისათვის და სხვ.

ს ა მ გ ო რ ი მ ე მ ა მ ს ე ხ უ თ წ ლ ე დ შ ი

სარწყავი არხების მშენებლობას უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოში მრავალი დიდი და პატარა არხით ირწყვება სამასი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვგრძობ ურწყავი მიწები.

ახალი გეგმა ითვალისწინებს სარწყავი ქსელის მშენებლობას ოროცი ათას ჰექტარ ფართობზე და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დათმობას. მიმდინარე წელს სამგორში სარწყავად უკვე მომზადებულია 16 ათასი ჰექტარი, 1958 წელს კი მთლიანად დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ყველა სამუშაო და დაიწყება ქვემო სამგორის არხის მშენებლობა. 43 კილომეტრის სიგრძის ქვემო სამგორის არხი სათავეს იღებს



„თბილისის ზღვიდან“, მიემართება გარდაბნისაკენ და მომავალში მორწყავს 18 ათას ჰექტარ მიწას. ამ არხის დამთავრებით ჯეირნისა და გარდაბნის დღემდე გამოუყენებელ და უკაცრიელ ადგილებში გაშენდება ორი დიდი სოფელი — რუსთავი და გამარჯვება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სოფელ სართავალას ტერიტორია.

თუ დღეისათვის მდინარე ივრის წყლით ირწყვება მხოლოდ 16 ათასი ჰექტარი მიწა, ხუთწლედის ბოლისათვის სარწყავი ფართობი 41 ათას ჰექტარს მიაღწევს.

მომავალში სამგორის ველზე შეიქმნება რამდენიმე მსხვილი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოამარაგებს თბილისის მოსახლეობას. სამგორში უკვე შექმნილია მევენახეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მიმდინარე წელს თბილისის მიაწვდის თავის პირველ პროდუქტებს. დაიწყო მევენახეობის მეორე საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა. ფართოვდება მუხრანის მერქვეობის საბჭოთა მეურნეობა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და მალე დამთავრდება სიონის წყალსაცავის პირველი რიგის მშენებლობა, ხოლო 1959 წელს დაიწყება წყალსაცავის მეორე რიგის მშენებლობა. ამით შეიქმნება ხელსაყრელი პირობები მდინარე იორის წყლის რეგულირებისათვის. ზამთრის პერიოდში სამგორის ჰიდროელექტროსადგურები (საცენისის, მარტყოფისა და თეთრხევის) საცხებო უზრუნველყოფილი იქნებიან წყლით. მოიარწყვება საგარეჯოს, კაჭრეთის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების დღემდე გამოუყენებელი საყოლმეურნეო მიწები. გარდა ამისა, თბილისის წყალსაცავი, რომელსაც „თბილისის ზღვა“ ვუწოდებთ, ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის წყლით მომარაგების საქმეს. ამ წყალსაცავის ბაზაზე უკვე შენდება წყალსადენი, რომელიც დღე-ღამეში ქალაქს 86.400 კუბმეტრ წყალს მიაწვდის.



ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კიდევ რიგ სამუშაოებს. აშენდება და გაფართოვდება ბევრი საწარმო. მწყობრში ჩადგება გორის ბამბუქლის კომბინატის მეორე რიგი და გორი გადაიქცევა საფეიქრო მრეწველობის უღრავ ცენტრად მთელს ამიერკავკასიაში.

დიდი მნიშვნელობა ექნება და ზაფხულის საძოვრებზე პირუტყვის გადარეკვას გააძლიერებს ახალი გზები ჟინვალ-ახალხევისა და მთათუშეთისა (ახმეტბაი ნეოლომდე), რაც ამ ხუთწლედში იქნება გაყვანილი.

თბილისში ამუშავდება საქართველოში პირველი სატელევიზიო სადგური, დაიწყება საპარფუმერო ფაბრიკის აგება, მით უმეტეს, რომ ჩვენს რესპუბლიკას მდიდარი ნედლეული გააჩნია უმაღლესი ხარისხის საპარფუმერო ნაწარმის დამზადებისათვის. მრეწველობის ნარჩენებისაგან ვისკოზური ბოჭკოს მისაღებად რუსთავში შენდება სპეციალური ქარხანა.



დიდი ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ხუთწლედის დამლევისათვის საქართველოში მოკრფილი იქნება 165 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გადიდება ისეთი წამყვანი დარგები, როგორცაა მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა და მეციტრუსეობა. მარტო მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში ვენახის ფართობი გაიზარდება 15 ათასი ჰექტარით, ხეხილის ბაღებისა—17 ათასი ჰექტარით და ციტრუსების ფართობი—6 ათასი ჰექტარით.

სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ქაობების ამოშრობას, ახალი საყოლმეურნეო დაბების გაშენებას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სოფლების ელექტროფიკაციას, ავტომატიკისა და ელექტრონიკის ფართო დანერგვასა და სხვ.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის მომეხ ბალხებთან ერთად თავდადებით იბრძვიან მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად და მტკიცედ მიდიან წინ ნათელი და ბედნიერი მომავლისაკენ — კომუნისშისაკენ.

ლოცნტი გ. ზარდალიძელი



ბ ე კ ე კ ო



— ოხ.ოხ.ხო.ხო! რა შეაქო მამაშენმა თავიანთი ქარხანას! რა შეაქო! — ეუბნებოდა პატარა თამარის ძია ამბრანო. — ისე გამოდის, თითქოს მაგათი ქარხნის მეტს საუკეთესო ათავის არ ჰქონდეს. ისე გამოდის, თითქოს მეკარეც მარტო მაგათს უყვებო, მოხარულს რომ გიცნობს, ქუდი კეფაზე რომ აქვს მოდებული, და თუ გააბრაზე, მტრის კორიანტელს რომ დაუყენებს იმ ქუდით. ისე გამოდის, რომ მაგათი ჩარახებიც სხვანაირია, ჩაქუჩებიც, ბურღებიც და ვაზნიცია. — ერთი ჰკითხე: ცუცკაც ხომ არ იციან მაგათმა ვაჭრებმა? ერთი ჰკითხე! რა უნდა გიპასუხო, ვერაფერსაც ვერ გიპასუხებ. გაზი — ყველგან გაზია. მაგრამ ხალხი, ხალხი სხვაია... აი, ჩვენ, ელიტროსადგურის მშენებლები, ჩვენ სხვა ხალხი ვართ! ჩვენ, იცი, რებში ვართ? ავტო იმ მთას ხომ ხედავ, მამადავით რომ ეძახან, ჩვენ რომ მოვიწოდებოთ, დავეფერებოთ აქეთ-იქიდან, გავხვებოთ და შენს სადღეგრდელს, რომ შენ კარგი, მკვიანი გოგონა გაიზარდა, შვი მიის შუაგულში დალევეთ. აბა ასე ვითო! ჩვენ რომ მოვიწოდებოთ, მტკარას... ზღვა ხომ გინახავს, იბანავე კიდეც არა?! ოგ ზღვა როგორ განიდა თუ იცი! ჩვენ გვაჩინეთ. ავლებით და მდინარე იორს აქეთ უყვართ თავი. ავლებების ქვეშ გამოვადვირებთ, ხეებზე ვაძლიერებთ და მანდ ჩაივარდება. ნეთ შენს ვახსარად. ჩვენ რომ მოვიწოდებოთ, მტკარასაც შეგაბრუნებთ. აბა ასეთები ვართ ელიტროსადგურების მშენებლები.

შენ გგოვია ქარხანა ჩვენ კი არა გვაქვს?! ძალიან ცდები. იმოდენა ქარხანას არა, როგორც მამაშენისა, მაგრამ პატარა ქარხანას, სადც ჩარხებიცა დგას და დაზვებიც, ჩვენ პირდაპირ ტყეში ჩავედგამთ ხოლმე — შვი გეუბნებოდა

და შაშვების სამფლობელოში. მოჩუჩუხებებს ნაკადული იქვე გალობენ ბუღბუღები და უსტყვენ შაშვები. ზედ სახელოსნოს წინ ვაგისნინან მასობრივად სოფლებში სორარტობით პირადკარულ კალათებს და ამოლაგებენ: სურნელოვან გულაბებს, ღამზად დაკრეკილ მოხარულ სიმინდებს, წიღში გამოყვანილ კიტრებს, ჩამრავლებულ პამიდორებს. ხანდახან ბატები შემოყვანალებიან ხოლმე, გამოყვანებული ბატები, და მუსიკოსებივით დაძაბულნი უსმენენ ძრავების ზუზუნს. ხანდახან თხებიც შემოვლენ, ბაკ-ბუცი ბაკ-ბუცი! და ვაჭრებებიან გაცხებულნი — წვერბაცანცანანი, რქებმოღერღინი. მეკარე, მამაშენი რომ ასე ძალიან აქებდა, არც ვეპირდებოდა ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ. იდგნენ ის თხები და გვიყურონ, რას გვიწლიან!

ხა-ხა-ხა ამ თხებმა ერთი ამბავი გამახსენეს. ერთი მოანგარიშე გვეყავს, ძალიან კარგი ქალი. მალალო და სუსტი. რომ შეუბერიო, წაიჭკვავა. მაგრამ ისეთი გული აქვს, ისეთი გული, ცეცხლში ჩავარდნას არ დაფრთხილებთ მისთვის. კმარი ამ სამი წლის წინათ გარდაცვალა. დღეა ყავს და შენოდენა გოგონა, ნელი.

შესვენების დროს, საღილს რომ მოვრებოთ, დავსხდებით ჩვენი ხალხი ხან ყუდროზე, ხან ღუმელთან, ვაყნაწუნებთ მწესლუმორას და ერთმანეთს ვუხარობთ ავ-კარებს. ეს ამას ამბობს, ის — იმას. ამას ეს ჰბრძობდა, იმას — ის.

ერთხელ ასე ვისხედით სახელოსნოს წინ: მე, ის ჩვენი მოანგარიშე თამარი, დოროშენკო, მაქარაშვილი და კოდვ... მგონი დაფურთხი იყო, აი, შენ რომ გოგონე ასხებული მარწყვი ჩამოგიტანა, ის.

დოროშენკო რაღაცას ყვებოდა, ჩვენ ვიცინოდით. თამარი კი იჯდა და გოგონი ძირს რაღაცებს ხაზავდა. მერე თავის დაუანებურად წამოიწყო: ადარ ციცი რა ვქნა, რა წყაღში სავვარდ, გოგო არაფერს არ ჰქმის.

— როგორ თუ არ ჰქმის! — გავოცდით ჩვენ.

— არ ჰქმის. რაც არ უნდა ვაუკეთო, არ ჰქმის. დავადგებით მე და დედა, ძალით დავაღებოთ პირს, კოცნა ჩაწერიოთ, მაგრამ არაფერი გამოდის, ტირის, ხაზავს იცურებინება, თმებს იფლავებს... რომ მიუშვა, ერთ ჰქია ჩაიზე გადაიფლის, ან ისიც არ გაახსენდება.

ჩვენ ერთმანეთს ვადავხვდეთ. ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ეს ელიტროსადგურების მშენებლები, ერთ ვინმეს ხომ რამე უჭირს ასე გვეგონა ყველა ჩვენთაგანს უჭირდეს. სხვაშალი არ გვიციოხავს, მაგრამ თვალებით მაინც გამოველაპარაკეთ ერთმანეთს.

— რა გეწონ, რით ვუსმედილთ ამ ჩვენს თამარს?

ერთი ხანს ჩაფიქრებულნი ვისხედით. მერე მაქარაშვილმა კეთა მოიფხანა, ქული უმუღზე წამოიწია, ჩაეღმა და თქვა: — მამ მომიხვებო. შენ... შენ თუ არა, დღეაშენს უფასარი და ხვალ თერთმეტე საათისათვის აქ მომიყვანოს, პირდაპირ სახელოსნოში.

— რა გამოვ ამით? — ახლა კი ხამალოდა ვკითხეთ ჩვენ.

— ნახათ რაც გამოვა? — თქვა მაქარაშვილმა, კიდეც ჩაიცივნა, წინ წამოიწული ქუდი ახლა კაფაზე მოიგდო და წამოიღება: — თქვენ აქ მომიყვანეთ!

აბა თამარს რაღა ეთქმოდა! თუ ცაცი ჰპირდებოდა გიშველიო, ისიც ელიტროსადგურების მშენებელი, იმდენ უნდა ჰქონოდა, რომ რაღაცას უშველიოდა.

და აი, მერეც დღეს თვითონ თამარმა მოიყვანა ის წუნია. ბაკ-ბუცი! ბაკ-ბუცი! — თემობაკუნდა თოქანივით, თითონაც თიქანს ვავს, საყვარელ თემობაკუნდა გაცივებული, წარბებამარხილი. შემოვიდა თუ არა, თითქოს სინათლე შემოიგანაო, ყველას სახე გავგინათა. მაქარაშვილმა წეთიანი ხელები

ჩერით შეიწმინდა, ჩვენ თვალი ჩაგვიკრა და წინ დაუ-
ცუქდა.

— ბეი — დაუკიანა თხასავით.

გოგონამ ჯერ წარბები შეკრა, მერე გაეღმა.

— რა გქვია?

— ნელი.

— თუ ბეიკო?

— არა, ნელი.

— ბეიკოს კი ვაფხარ ხომ გიყვარს პატარა ბეიკოები?
ნელიმ თავი დაუქინა.

— აბა, ბეიკო გერქვას.

შეძლება სხვისაგან სწყენოდა პატარა ნელის. საწყენიცაა
ლაშა, ოქროსთიან გოგონას რომ თხის სახელს დაგარქ-
მევენ. მაგრამ მაქარაშვილი ისეთი კაცია, ისეთი სიყვარუ-
ლოთ უბრწყინავს თვალები, მისგან არაფერი არ გეწყენება.
ნელიმაც მხოლოდ გაიცინა, და იმ დღიდან დაიწყო და და-
ერქვა ბეიკო.

— იცო რისთვის დაგიბარეთ? — დაიწყო ისევ მაქარა-
შვილმა. ჩვენი სახელისონ ძალიან ჩამოჩნა, გეგმას ვერ ვხა-
რულობთ, აღარ ვიცით რა გქნათ. იმისათვის დაგიბარეთ,
რომ მოგვეზარო. თუა ხომ იცის!

— ასამდე.

— აუჰ, აი ეს ძალიან კარგა. მაშ აბა მოდი ჩემთან, აი, ამ
ქანჩების ხომ ხედავ, დაგქეი და ნელა-ნელა გადამოთვალე.
მაქარაშვილი ჩარხს მიუბრუნდა. ბეიკო კი ჩაქუცდა და
იმ ახალთახალი, კრიალა ქანჩების გადათლა დაიწყო.

დედამისი შორიდან უყურებდა და იღიმებოდა, ვიღამეზო-
დით ჩვენც. მაქარაშვილი კი თვალს გეკრავდა, ქუთით თვა-
ლით.

ცოტა ხანში ბეიკო ქანჩების გადათლას შორჩა.

— ორმოცდაცხრა არის! — წამოიძახა სიხარულით.

— ძალიან კარგი. აბა, ეხლა ესენიც მიუმატე და გადმო-
მოთვალე!

ბეიკომ როგორღაც უნდოდ შეხედა.

— ჰო, წესად ხომ გადამოთვალე, ეხლა გადმომოთვალე.

ბეიკოს გაეღმა და ისევ ჩაჯდა, ის გადათვლილი ქანჩე-
ბი ახლა გადმოთვალა, თერთმეტც მოუმატა და სამოცი გა-
მოუვალა.

მერე მაქარაშვილმა კარადა დალაგებინა, მერე... მერე
საკვირმაც აკივლა შეისვენეთ, ისადილეთო!

— აბა, ახლა ხელები დაგიბანოთ! — თქვა მაქარაშვილმა.

— ვიშრომით — ცოტა რამეც შევქაპოთ.

ხელები დაიბანეს.

— მომიხმარე ერთი, ეს გაზეთი გაშალეთ. შენ წალი,
თამარ, ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისა.

— ხო, დედიკო, ხო.

გაზეთი გაშალეს.

— აბა, ახლა ჩამოგსხდეთ და ჩანთაში რა გაცქვ ვნახოთ.

მაქარაშვილმა საკიდლოდან გრძელი ჩანთა ჩამოხსნა და
წინ დაიღვა.

— ეს რა არის? ეს მარილი ყოფილა მხოლოდ. დაედოთ
აქ, გამოდგება. ეს? ეს... აბა, ვნახოთ.

ბეიკო კისერს იგრძებებდა, ჩანთაში უნდოდა ჩახედვა,
მაგრამ მაქარაშვილი განავებ ისე იქერდა, რომ ვერ მოა-
ხებოდა.


— ეს რძე ყოფილა. როგორ უყურებ! შენ უბრალო ძრო-
ხის რძე ხომ არ გგონია ხეცურულისა, ისიც კუდვარდა-
სი. არ დაგადევია ასეთი რძე? არა? აუჰ, რა არი, რომ
იკლდე, ისიც კუდვარდასი. ჯერ იყოს ასე ერთი სხვა რა-
მეც ვნახოთ! ეს... მაქარაშვილი კარა ხანს აფთაურებდა
ხელს ჩანთაში და ბოლოს სამი კვერცი ამოიღო. — ეს ხა-
ჯუჯუ ქაობის კვერცხები, ქორს რომ თვალი გამოსთხარა,
იმ ბაჯუჯუსი... ეს კიდევ ტახის ხორცი. შინაურისა კი არა,
გარეული ტახის ხორცი. აი, ამოდენა ემეტი ჰქონდა აი! აბა,
ნახე რა გემო აქვს! აბა ნახე!..



ბეიკო ჩაქუცდა და იმ ახალთახალი, კრიალა ქანჩების
გადათლა დაიწყო.

მაქარაშვილმა მოწრდილი ნაქერი მოუტრა, პურიც მიაწო-
და, რომელიც აგრეთვე უბრალო პური კი არ იყო, არამედ
თვით ასათი წლის პაპა გიგოლას მოყვანილი... თვითონც სა-
გულდაუფლოდ დაუტრიალდა ამ პატარა სუფრას და მშრ-
მელი კაცის სადილომაც გაჩაღდა.

გემრიელად შეეცეკოდნენ დაწვავზე ჩამომსხდარნი, თან
საუბრობდნენ.



— ვინც შრომობს, — ეუბნებოდა ბექეკოს მაქარაშვილი, — ვინც შრომობს, ის ენერჯიას ხარჯავს. ვინც ენერჯი... არ იცო რა არის ენერჯია? ძალია. ვინც ენერჯიას ხარჯავს, იმას კარგი გემა უნდა, რომ ის დანახარჯი აინაზღაუროს. რად ასხამენ, თუ იცი, ბენზინს მანქანაში. აბა, რათ ასხამენ არ იცი? იმიტომ, რომ საწვავი ჰქონდეს და მოტორი აამუშავოს. როგორც კი საწვავი გაუთავდება, იმ წუთშივე გაჩერდება. ადამიანიც ასეა. როგორც კი საქმელი შემოაკვდება, შრომის ველარ შექმნება. ადამიანი კიდევ, თუ არ შრომობს, არც ადამიანი იქნება. ვინც ბევრს ჰმას, დიდი ღონეც აქვს, ვისაც დიდი ღონე აქვს, ბევრსაც იმუშავებს.

ამ ლაპარაკში ბექეკომ ის ხორცის ნაჭერი მთლიანად გაათავა. მაქარაშვილმა ახლა ბაჯუჯა ქათმის კვერცხი მიიწოდა და თანაც დაატანა:

— აბა კვერცხის გემოს გაგება თუ გინდა! დამირტყი! გაღმობარუნე!

კვერცხებს ხევსურული კულდარა ძროხის რძე დააყოლეს, რძეს ლეყაწითელი ვაშლი... სუფრა ააღაგეს, ხელები დაიბანეს, გარეთ გავიდნენ, კომპირსობები... აი, შეკუმშულ შაქრს რომ აწვდის გვირბებს... კომპირსობები დაათვალიერებს და საყვირიც აუშვეს: სამუშაოს შეუღლებით.

თამარმა რომ თავინი გზოგნა დანაწა, ველარ მოიხიზა...
 წამოიხიზა:

— ჭამო რამე?
 — ჭამაო! — გაიკვირა მაქარაშვილმა. — რა, არ ჭამს ხოლმე, თუ...
 ბექეკომ თავი ჩაღუნა.

— არ ჭამს ხოლმე? იქნებ უხარალო რამეებს აძლევს ტახის ხორცს და კულდარა ძროხის რძეს ვინ დაწვინებს! ვინ იქნება ქვეყანაზე ისეთი, რომ ისინი დაიწუნოს. განა არ მოგეწონა?

ბექეკომ კმაყოფილებით დააქანა თავი.

— ამ საღამოსვე გამოვიგზავნით: ხორცსაც, კულდარა ძროხის რძესაც და ბაჯუჯა ქათმის კვერცხებსაც; არ ვნახოთ, რომ უხარალო რამე დაძალია არ ვნახოთ!..

— იმ დღის შემდეგ ბექეკო ყოველდღე მიდიოდა სახელოსნოში.

— ბაკ-ბუკი ბაკ-ბუკი — შემობა...
 კუნძულადა თითქანით.

— მოხვედრე, ბექეკო! — დაუძახებდით ჩვენ.

ის თავს დაგვეწვედა და ისე გაგვიღებდა, თითქოს გვეუბნებოდა, ვიცი, სიყვარულით მიძახით ბექეკოს, თორემ სხვანაირად რომ მიძახებდით, ერთ ამბავს დაგაწვილიყო.

დღესათან არ ჩერდებოდა. სულ სახელოსნოში ტრიალებდა: გვიდა, ალაგებდა, ასუთავებდა. ამისთვის — ეს მოკვდა, იმისთვის — ის... ხოლო მაშინ, როცა საყვირის აბს მათრებდნენ, მაქარაშვილთან და დღესათან ერთად გემირილად შეიქცეოდა: ხან გარეული ტახის ხორცს, ხან ასტრახანში დაქერილ თევზს, ხან მუხის ფულუროდან ამოღებულ თავღს და ხანც პაპა გიგოლას ბაღში მოკრეფილ ვაშლებს. კულდარა ძროხის რძის გარეშე ხომ არცერთი სადღის დამთავრება არ შეიძლებოდა.

ერთ კვირაში შეეტყო, ვასუდა, გაყინადა, კიდევ უფრო გაღამაზდა — სულ ცეცხლი სცვიოდა თვალებიდან. ახლა რომ ნახო, სკოლაში როცა მიდის, სულ იმაზე რჩებოთ თვალი მაშ!

ასეთები ვართ ჩვენ, ელექტროსადგურების მშენებლები. იქნება მიხვდი კიდევ, რომ ის რძე... რძე კი არა შარტო, თითქმის ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მაგრამ ხომ გეუბნები, ჩვენ ელექტროსადგურის მშენებლები სულ სხვა ხალხი ვართ. როგორც კი რამე ჩვენს ხელში გავივსის, იმ წუთშივე სხვანაირად იქცევა, იმ წუთშივე ბაჯუჯის ველარ მოუძებნის!

არა, მე იმას კი არ გეუბნები, თითქოს მამაშენის ქარხანა მთლად არ ვარგოდეს! მამაშენის ქარხანაც კარგია, მაგრამ ელექტროსადგურის მშენებლობა მაინც სხვაა. შენ რომ გაიზრდები, ჩემი თამუნია, შენ რომ დიდი გოგონა გაიზრდები, უმძველად პილდროინფინერი უნდა გახდე. პილდროინფინერი რაღა არის? გასწავლიან, ისწავლი, როცა გაიზრდები. ახლა კი ჩახბო და აგერ ის ყუვა გამოცალქი აბა, ყურიღალ!



კვერცხებს ხევსურული კულდარა ძროხის რძე დააყოლეს.

„გაზაფხულის ღიმილი“

მარტის დამდეგს, მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა საკავშირო სახლში სახვიმოდ გაიხსნა სკკპ XX ყრილობისადმი მიძღვნილი ბავშვთა სახვითი ხელოვნების X გამოფენა. ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი 5000 ნამუშევრიდან გამოფენაზე საჯაროდ წარმოდგენილია 1100.

პიონერთა რესპუბლიკური სასახლეების ექსპონატებს შორის ყველაზე მეტ ქებას იმსახურებს მინსკის პიონერთა სასახლის ნამუშევრები. მინსკის მხატვრული ქარავის წრის წევრები ხალხური ხელოვნების ნიმუშების გადმოსაღებად ყოველწლიურად მიემგზავრებიან ბელორუსის სხვადასხვა ოლქში. გოგონები დადიან სოფელ-სოფელ, გადმოაქვთ ძველი, შემორჩენილი ნაციონალური ქარები. მათ მიერ გამოფენაზე გამოგზავნილი ნაქარავი კაბები, პირსახოცები, პერანგები, ბალიშისპირები, ქაპრები და ფარდაგები დამთვალეიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებენ.

დიდი ინტერესით ეცნობიან მნახველები უკრაინელი ბიჭუნების—ვალადია კოსოლაპოვის, ვლადისლავ მეკემენისა და ლევ პლეტნიკოვის მიერ ხეზე ამოკვეთილ კოლმეურნე გოგონას. ნიჭიერად არის შესრულებული, აგრეთვე, მათივე ნამუშევარი — „შოშები მოფრინდნენ“. ხეზე ქრის ხელოვნებას კარგად დაუფლებიან ეს ცამეტი წლის ნორჩი შემოქმედები.

დიდი სიყვარულით უმუშავია ტუმინოელ გოგონას — ლუდმილა ტროფიმოვას ხალხთა ბელადის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წარუშლელი სახის შესაქმნელად.


კავკასიიდან გამოგზავნილი ექსპონატები უმთავრესად ერთ დაბზაშია მოთავსებული. მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა გვერდით ვხვდებით ქართულ ნორჩ შემოქმედთა გვარებს; მათ მიერ გამოგზავნილი ნახატებიდან მეტი წილი ფანქარშია შესრულებული. ყურადღებას იპყრობს გივი ვაშაქიძის მიერ დამაჯერებლად გადმოცემული სვანეთის პეიზაჟები; აქვეა ემირ ბურჯანაძის, ნოდარ ჩოჩიას და ალექსანდრე ჟლენტის ნახატები. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ტარიელ მარშანიას „ბაგრატის ტაძარს“.



2. სმირნოვა, 16 წლის. საქართველოს სსრ, თბილისი.

„მე არ ვიცი სხვა ასეთი მხარე, სადაც ასე ლაღად სუნთქავენ აღმზინი“.

(თაბაშირი)




5. ნარკოცი, 14 წლის. იაროსლავლი. რკინიგზის დეპო. (აზერბეიჯანი).

ფერების ნიღვარს წაგავს 11 წლის ოლესია თავაძის „თავიფული“ და „წითელი ყვავილი“ (აქვარელი). მისი ნახატების ირგვლივ ხშირად მოჭკრავთ თვალს ახალგაზრდების ჯგუფს. გულისყურით აკვირდებიან პატარა ოსტატის ნაწარმოებებს. ნორჩ ქართველ შემოქმედთა შესახებ გულთბილად გვესაუბრება ძველი მხატვარი დიმიტრი გაბრიელის-ძე სობოლევე, რომელიც 1946 წლიდან ხელმძღვანელობს გამოფენას.




1



— მხიერ საქართველოში შევიძინე მეგობრები. წელს მათ ნამდვილად გამაზარეს თავიანთი ნამუშევრებით. ბევრი ექსპონატი გამოფენაზე კარგად გამოიყურება. მაგრამ სასურველია, რომ ზომიერად იყოს წარმოდგენილი, როგორც გრაფიკა და სკულპტურა, ასევე ფერწერაც—გაოფნებს და სიბოლოდგი. — რაც შეეხება ოლსიან თავაძეს, ჩვენ ვუკვე უკნის წელს შეგობრები ვართ. მოსკოვშიც იყო ოლსიან ნებანა. მე მას კონსულტაციებს ვუძღვრებდი. შეხიშვების ვაძლედი... იზრდება გიჟობა, ხელო უნაზრდება. ნიჭიერი ბავშვი. — ახლა შემოსასვლელსაკენ მივყავართ დიმიტრი გაბრიელისძეს.

— მოლო ჩვენი გამოფენის მარგალიტია აი, ეს სკულპტურა... შორიდანვე შეამჩნიეთ, რომ ეს ნამუშევარი საქართველობაშია გამოფენილი. ამტკრებელი გიოთიკი სააკაძე ბრძოლის ველზე გაჭრილი. ეს სკულპტურა ნათლად მეტყველებს მისი შემქმნელის უნარზე. გამოცდილი მხატვრისა და სხვა ავტორების აზრით აქ უკმაშარიტ ხელოვნებასთან გაექცეს საქმე. პატარა ოთხკუთხედ დაფაზე ვკითხულობთ ავტორის გეარს: თეგზო კიკელიძევილი, თბილისი.

სტრატეგია. 1. თენჯინა კაილიზუალი, 16 წლის. თბილისი. გიორგი სააკაძე (თბილისი) 2. ვახტანგ ვასპურაკი, 13 წლის. სომხეთის სსრ, ერევანი. ახივანის სახლობის ქაჩი (ეგრეთღ) 3. მარტ სპარსეთი, 15 წლის. ლაგვის სსრ, ტბილი. ვიქტორ ვაღბანი (ეგრეთღ) 4. ჩერკეზია. 15 წლის. ბარკოვის სსრ, ხბილისი. ჭელი არქიტექტორული ძეგლი. (ფიგის ხელზე) 5 და 6. დიდიმარ კოსოლი.



5



2

...მეაზნის მეაზნის რა დაღეს! თვლი ვერ მღება ჩვენი ნიჭიერი ბავშვების ნამუშევრების ყურებით. ბავშვური გულწრფელობითაა შესრულებული ფერად ფანქარში გვეტოვ პოლისიანის „უამირზე“, ხეთი წლის ირინა ხრამოცკიასა, არკადი პოგოცევის, იტრი პერესენკის, ელენე კორიტაძევისა და ვალენტინა ზოტოვის ნახატები.

საგულდაგულად არის შერჩეული თემატიკაც. გამოფენის პიანაწილები თავიანთ ხელოვნებას უძლევიან საბჭოთა ხალხს ზედნიერ ცხოვრებას, კიდევ უფრო უკეთესი მომავლის მშენებელი აღმანიანების შრომითს მამაციობას. შეადგამთ თუ არა ღებს შენობაში, სადაც გამოფენია მოწყობილი, თითქმის ველზევით კი შემოგვიკინებენ. მხიარული განწყობილება სეფეუს ირგვლივ. ამიტომ იყო სწორედ რომ გამოფენის საზეიოდ გახსნისას, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ალექსანდრე მისეილისძემ გერასიმოვმა თქვა:

„ეს გამოფენა განაფხუვებს ღიბის მეაზნებს“.

ა. ნიშნინიძე

ბივი, 14 წლის. ვალიდოვ მექნი, 15 წლის, დეე პუბლიკოვი, 14 წლის, უკრაინის სსრ ვოლის ოლქი, დეეა. „მოშიბა პოდრინენე“ და „მელოკობის დეარსო“ (ერევიანა ხზე) 7. ვენდი იოსკოვი, 14 წლის. მისკოვის ოლქი, ლიბლინი. ბილის მშენებლობა (ეგრეთღ) 8. ბარილ ბარმანი, 15 წლის. საქართველოს სსრ, ვეთიანი. ხაჭრატის ძამანი. (ფანქარი) 9. კრავოლ ედლობა, 15 წლის. აზრბაიჯანის სსრ, ბაქო. ნეგაის სარეზბა. (ეგრეთღ).



5



8

ჩემი ნორჩი მეზობელი



დღესაც ადრე გაეშურა
სამუშაოდ შალვას დედა;
დღესაც შალვა ადრე ადგა,
გაკვეთილებს გადახედა;



საუზმისთვის ნათქურაზე
მოხდენილად შედგა ტაფა,
ჩაიდანაც გააცხელა
და გააწყო სუფრა სწრაფად.

დილის შრომით კმაყოფილი
სკოლისაკენ გააყვა ტოლებს.
ავდექი და მეც სიამით
ყმაწვილს თვალი გავაყოლე.



მიყვარს შალვა, სკოლის თვალი,
შინაც საქმის მკეთებელი,
ჩემი შევილის მეგობარი,
ჩემი ნორჩი მეზობელი.




ამას წინათ ჩემს რადიოს
ხმა ჩაუწყდა, მივიძინა,
ველარაფრით ავამღერე,
მერ ავუღღი ენა რკინას.

თავზე შალვა წამომადგა,
თითქოს მხსნელად გაჩნდა ჩემთან,
დატრიალდა და ოთახი
კვლავ ქვეყანას შეაერთა.




იცის შალვამ შრომის მადლი,
რაა ტკბილი და რა მწარე,
ცოდნის თვალით დედამიწას
მეგზურით მოგატარებს.

მახარებს და მეც ვუმღერო,
არ მსურს გრძნობის მიყუჩება,
ვიცი ჩემს წინ, ჩემს მეზობლად
რა ყვავილი იფურჩქნება.



ნახ. აღ. მანძელაძისა



ოკია იოსელიანი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

პ ა რ ი ს მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

1

...ისე კი თითქმის ყველაფერი ჩემს მამასახლისად არჩევას დავმთავრე!

...და ეს ყველაფერი ისე საჩქაროდ და მოულოდნელად მოხდა, რომ მე მანამდე არც ის ვიცოდი, თუ ზურაბი, ჩემი „თითო საჩვენებელი“ მამასახლისი, გადარჩევას ასე დაბეჯითებით რატომ იხვეწებოდა და წრის ხელმძღვანელობიდან დათმავდა თავი რა მიზნით დაიძვრინა.

პასუხისმგებლობა როგორც კი თავიდან აიცილეს, იმავე წლის უჩინაჩინის ქული მიიჩვენეს. დილით, ზარის დარეკვას რომ რაღაც წუთები უკლია, მაშინ გამოჩნდებიან, დავიანების შიშით აჩქარებით მომავალნი; კლასში შემოვლენ, „გამარჯობას“ ცალკედ, წყალობასავეთ ვგვიმოძებნენ, და ზარიც, თითქმის ამას უღლოა, აწყრილდება.

ერთ მერსზე სხდებიან და გაკეთილების დამთავრებამდე იქვე ფაუთობენ. საშინაო დავალებას სკოლაში უბირებენ გამოყვანას. ლექსის დაზვიერებისას ჩუმად, თავისთვის ბუტბუტებენ და მთელ შესვენებაზე გეოგრაფიის რუკასთან ტრაობენ, მასწავლებლისაგან უკანასკნელ გაკეთილებზე ორჯერ გაფრთხილებაც კი მიიღეს მოსუფერობისათვის. წინააშენი წიგნებს ალაგებენ, მეღანაშეუშობადელ რვეულებს ხურავენ... უკანა მერსიდან განათხოვრებულ სამეღნეს მოთხოვენ და უნებამდე ხელოდან გავარდნილი ფანქრისათვის მერსზევე დაიძვრიან. როგორც კი ზარის ხმას გაიგონებენ, დამთავრებას როდღაც იცლიან, მასწავლებლის გახვალამდე რა ჰქნან, თორემ თვალი გასაქცევად უქირავენ.

ერთი სიტყვით, ამ ოთხ-სათო საათს, რაც ძალაუნებურად უხდებიან ჩვენთან კლასში გაატარონ, რაღაც მათგანტოკური სიზუსტით იყენებენ და მერე კი, ჰერი ბიჭო, მთელ სოფელში რომ კაცმა სანთლოთ ეძიოს, იმათ მნახველსაც ვერაფერს იპოვის.

ეს ამავე მთელს კლასში არავის გამოპარვია, მაგრამ პირველ დღეს მე შევინიშნე და მას შემდეგ ორივეს ვაგასკოუბრებით დავუწყე თვალყურის დევნება.

მართალია, ჩვენ ბავშვობა აღარ გვაქვს, აგერ ორსამ თვეში მეშვიდე კლასს დავამთავრებთ, მაგრამ შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული და რა იცო საით გასტარებს... ერთ-ერთი კიდევ, რომ წინდაწინ არავის გვიჩინა თუ ცდებამა მანამ ვერაფერს ატყობს, ვიდრე ურემი არ გადაბარუნდება.

თუ აღმამის ამხანაგი გყავს, დროზე უნდა გადაგახვეინოს სახიფათო გზიდან. მეგობარმა მანამ უნდა გადაგარჩინოს ფაუთბას და მოკეთებ მანამ უნდა გიკეთინოს — „რა გაბრიყვედი ბიჭო, იქით ფეხი არ გადადგამ“, თორემ ურემი რომ თვლებს მაღლა აწამს, მერე ამხანაგ-მეგობრები და მოკეთებები რომ არა, ცნობისმსუყარეც ბევრი შემოგახვევია და ბევრმა შეიძლება ლოყაზეც კი შემოიკარას ხელი, გულის ტყვილითაც თქვას: „შე უბედურლო, ამ გზაზე რა მიგარბენინებდაო“.

...მაგრამ მე ჯერ უნდა ვამოკრა რაში იყო საქმე.

პირველ დღეს რომ შორიდან ვუთვალთვალე, მგორე დღეს იმათ წინ გადავჯექი, მესამე დღეს უკანა მერსიდან მათი საქმიანობისათვის თვალთ არ მომიცილებია. ვაკეთილების შემდეგ კი ორივეს გზა კარბინი მოვუტყირი და, ცოტა არ იყოს, ვაჯავრებოთაც კი ვკითხე:

— სად დაძვრებით?

შეჩერდნენ, ჯერ მე დამაქცირდნენ დაკვირვებით, მერე ერთმანეთს შეხედეს და მხრები ყურებამდე აიტანეს.

— სად დაძვრებით-მეთქი! — ახლა პატარა აფურეც კიდევ ხმას.

— ჩემე?

— დიახ, შექენ!

— რას ჰქვია დაძვრებით?!

— ზურა, შენ როგორ ბატყობ, ამას თავში ყველაფერი რიგზე აქვს?! — გადაჭარბებული ვაკვირვებით ჰკითხა და... თომ მეგობარს, ისე რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედეს.

კარბინსაც ისე ვაჩვენე, თითქმის მარალაც ვინმე ჰქუანაულთთან ჰქნოდათ საქმე.

— ჰმ! არ მიხმებლენ! — ტურზე ვიკინე მე. — მაგრამ ვნახოთ!!!

2

ზურაბსა და დალოს, გარდა იმისა, რომ იმათ ეწოდებოდა ერთი იელოს ლობე მყოფა და ყუთელვკარი ლობის გარეშე სკოლაშიც ერთ მერსზე ისხდნენ, ერთი რა კიდევ აახლენდათ: როგორც კი საკოლონურნი ფერმა დამატარის საძვრებზე გადაბარდვნილი, ორივე ბიჭი მთელ ზაბახულს ამ მინდვრებში ატარებდა.

ეს მე, რა სათქმელია, საკუთარი ხუთი თითივით ვიცოდ. ვიცოდი ისიც, რომ ზურაბი მულამ ახლის აღმოჩენაზე ჩაფიქრებული ბჭი იყო. მის წიგნებში სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გარდა, ბევრ ტექნიკურ წიგნებს ნახავდა კაცო.

დათოს კი, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, „ფეხებზე გიდა“ ყველა ახალი აღმოჩენა და, თუ ზურაბი რაიმე გულმოდგინედ უმტკიცებდა: „ის ასეა, ბიჭო, ეს უსათუოდ ამ დანაშნულებს შეასრულებს, აქ სახელური იქნება, იქ მილი და ბოლოს წულის საქაჩე ტუმბოს დაემაზადებო!“ დათო დაწვრილებით ახსნა-განმარტებას სანახევროდაც არ მოისმენდა, მაგრამ აზრი ყოველთვის ერთი გამოჰქონდა: „სულერთია, არაფერი გამოვაო!“.

მიუხედავად ამისა, საქმეს ორივე გულმოდგინედ შეუდგებოდა და, პირიქით, დათო მეტ მუქუთობასაც კი იჩენდა: ქლიბავდა, ჭედდა, თუნუქის დაქვედილი ფურცლებს ასწორებდა და ბუსღუნებდა: „მერე რა, სულერთია არაფერი გამოვაო!“.

